უჩავა რიმა მიხეილის ასული — ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობა „კუტოლის“ მეჩაიე.

ჯოჯუა გოგუცა კონსტანტინეს ასული — გულრიფშის რაიონის ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

კირეკიანი მაკრიტ ალექსანდრეს ასული — ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოე, ქალაქი გაგრა.

ნაკოფია მზია გოდოს ასული — გალის რაიონის პირველი გალის მეცალკეურნეობის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე.

ჭარდავა ხუტა ავქსენტის ძე — სოხუმის რაიონის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მეჩაიე.

შონია გიორგი ჯოტოს ძე — ოჩამჩირის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე.

აჭარის ასს რესპუბლიკაში შრომის წითელი დროშის ორდენით

ბალაძე ნათელა აკიბის ასული — ქედის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოე.

ჩავლეშვილი მერი სულიმანის ასული — ქობულეთის რაიონის ოზურგეთის რაიონის ბუნაგანის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

გოლიაძე შოთა თემერის ძე — ქობულეთის რაიონის ოჩხამურის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

მიქელაძე ნიაზ რამიზის ძე — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მეჯინისწყლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

III ხარისხის შრომითი დიდების ორდენით

დუმბაძე მახპილა მუსტაფას ასული — ხელვაჩაურის რაიონის თხილნარის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

მაკარაძე ნაზი მუჰამედის ასული — შუახევის რაიონის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოე.

სოლომონიძე გუგული ახმედის ასული — ხულოს რაიონის სოფელ ოქრუაშვილების კოლმეურნეობის მეთამბაქოე.

ჩოგაძე ნათელა ენვერის ასული — ხულოს რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოე.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

ჯავახაძე ნათელა გიორგის ასული — ქობულეთის რაიონის ცეცხლაურის კიროვის სახელობის მეჩაიეობის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე.

დიასამიძე გულიკო დურსუნის ასული — შუახევის რაიონის სკკპ XXIV ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოე.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

გუსოევა ეთერი ვასლის ასული — ლენინგორის რაიონის ზაზორის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მეჭარხლე.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

ბესტაევა რეზი ვლადიმერის ასული — ლენინგორის რაიონის ზაზორის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მეჭარხლე.

გოიაევი ერმანოზ ზარბეგის ძე — ცხინვალის რაიონის არცევის საბჭოთა მეურნეობის მეჭარხლე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1979 წლის 12 აპრილი.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲐᲨᲘ

ᲮᲔᲚᲕᲐᲩᲐᲣᲠᲘᲡ რაიონის სოფელ ახალშენის კოლმეურნეობაში ჩაის ფოთლის ხუთწლედის მეოთხე წლის მოსავლის შერჩევითი კრეფა დაიწყო.

ამ დღებში მეჩაიეებისათვის სოფლის ბიბლიოთეკის წიგნის დამტარებლებს პირდაპირ პლანტაციაში მიაქვთ მხატვრული, სასოფლო-სამეურნეო და პოლიტიკური ლიტერატურა.

კოლმეურნეობაში რამდენიმე ბიბლიოთეკის 7 ფილიალია გახსნილი. კოლმეურნეობის ბიბლიოთეკის ფონდში 15 ათასი ტომია.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: სოფელ ახალშენის კოლმეურნეობის ბიბლიოთეკის წიგნის დამტარებელმა ლამარა მიქელაძემ № 16 ბრიგადის მეჩაიეებს წიგნები მოუტანა.

ნ. ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲔᲕᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პრემიები-ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნომ 1978 წლის საუკეთესო ნაშრომებისათვის სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის პრემიით დაჯილდოვა:

კ. ი. აქსიონოვი — საოლქო გაზეთის „ნოვგოროდსკაია პრავდას“ განყოფილების გამგე — არაშავმოწანიადაგიანი ზონის სოფლის მეურნეობის განვითარების, წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის პირობებში მეცხოველეობის ეფექტიანობის ამაღლების პრობლემებზე დაწერილი მასალებისათვის — „კომპლექსი: პრობლემები რჩება“, „კოოპერაციის ვიწრო გზა“, „ორცელიანობა: დაენერგოთ აქტიურად“;

ს. ნ. ანდრეევი — ტომსკის ნავთობქიმიური კომბინატის მშენებლობაზე ტომსკის საოლქო გაზეთის „კრასნოე ზნამის“ სპეციალური გამოშვების რედაქტორი — კორესპონდენციებისა და რეპორტაჟებისათვის, რომლებიც ასახავენ მუშათა და ინჟინერთა ინიციატივას ციმბირის ნავთობქიმიის გიგანტების ვადამდე საექსპლოატაციოდ გადაცემის გამო სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის;

ს. ბ. ბა-ია ნოვი — რესპუბლიკური გაზეთის „სოციალისტიკ კაზაკსტანის“ რედაქტორი — მასალების გამოქვეყნებისათვის, რომლებიც ასახავენ სოციალიზმის მშენებლობაში მონოლეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და კუბის ხალხთა წარმატებებს;

ვ. ა. ბუტი — გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას“ განყოფილების რედაქტორის მოადგილე — პუბლიცისტური მასალებისათვის „თავა რომ აზოტის ზღვაში ვარდებოდეს...“, რომელიც ეძღვნება კომუნისტური იდეალების სულისკვეთებით ახალი, ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდის პრობლემას;

ა. დ. ვორობიოვი, ვ. ლ. კოვალენკო — გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიას“ სპეციალური კორესპონდენტები — სტატიების სერიისათვის „კოლექტივი ბრიგადადან იწყება“, „მმართველობა: სტილი და მეთოდები“, რომლებიც ასახავენ ვოლგის საავტომობილო ქარხნის გამოცდილებას სოციალისტური შეჯიბრების მოწყობაში დევიზით „თანამედროვე წარმოებას — თანამედროვე ორგანიზაცია“.

დ. გ. გულტიაევი — საოლქო გაზეთ „ტიუმენსკაია პრავდას“ რედაქტორის მოადგილე — მიწის რაციონალური გამოყენების საკითხებისადმი მიძღვნილი მასალებისათვის;

ვ. ა. დავიდოვი — ყაზდესის ფოტოკორესპონდენტი — პერიოდულ პრესაში ფოტოსურათების სერიის „ყამირის“ გამოქვეყნებისათვის, რომელიც ეძღვნება ყამირი მიწების ათვისების გმირებს, მათს თავდადებულ შრომას;

ბ. ლ. დანიუშევსკი, ბ. ა. ფაინი — ეურნალ „სმენას“ განყოფილებათა რედაქტორები, **ვ. ბ. ევსეევი** — განყოფილების გამგე, **ხ. ნ. პეტრუხინი** — ფოტოკორესპონდენტი — ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის სიმდიდრეთა ათვისებაში ახალგაზრდობის მონაწილეობის ამსახველი ჟურნალის სპეციალური ნომრების მომზადებისათვის.

ი. ა. დემენტიევი, ა. უ. პლუტნიკი, ე. ვ. იაკოვლევი — გაზეთ „იზვესტიის“ სპეციალური კორესპონდენტები, **ო. ვ. პავლოვი** — განყოფილების რედაქტორის მოადგილე, **ვ. ს. გავრიჩკინი, ა. ს. ეფელევი, ა. ბ. საბიროვი** — გაზეთის საკუთარი კორესპონდენტები — ავტრეიდის „მოსკოვ-ციმბირწყნარი ოკეანე“ მასალების მიხედვით ნარკვევების, რეპორტაჟების, ინტერვიუების გამოქვეყნებისათვის, რომლებიც ასახავენ ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის მშრომელთა მიღწევებს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში;

ნ. კ. ეელეზნოვი — საკავშირო სპეციალური კორესპონდენტი — საბჭოთა და საზღვარგარეთის პრესაში კოსმოსური კვლევის დარგის მეცნიერების მიღწევათა პროპაგანდისათვის;

ვ. პ. ზახარჩუკი — ბელორუსიის რესპუბლიკური გაზეთის „სელსკაია გაზეტას“ განყოფილების გამგე, **გ. გ. კადეტი** — განყოფილების კორესპონდენტი — რეპორტაჟებისათვის „ადამიანები, ადამიანები — მაღალი ვარსკვლავები“, რომლებიც ეძღვნება მინდვრის მშრომელებს, 1978 წლის მკის გმირებს;

ი. ა. კაზმინი — გაზეთ „პრავდის“ სპეციალური კორესპონდენტი — ტრანსპორტის განვითარების პრობლემებზე სტატიებისათვის — „თითოეული ლიტრი ბენზინი“, „სახმელეთო ფლოტი“ „გზებს მინდვრებში მივყავართ“;

ლ. ი. კორსუნი — კრემენსკის რაიონული გაზეთის „ლენინსკი პრაპორის“ (ვოროშილოვგრადის ოლქი) რედაქტორი — ნარკვევებისათვის „საუბარი კომუნისტებზე“, „გულით თქვენთან ვარ, მხვნელ-მთესველებო“, „მწყემსი — ასეთი პროფესიაა“ და **ი. ვ. კრილოვა** — ჩრდილოეთ დვინის საქალაქო გაზეთის „სევერნი რაბოჩის“ (არხანგელსკის ოლქი) განყოფილების გამგე ნარკვევებისათვის „ხარატ ნაზაროვის კარიერა“,

ბ. ი. ლებედევი — მხატვარი — პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული ნახატების სერიისათვის;

ა. ა. მენშიკოვა — ცენტრალური რადიომაუწყებლობის მთავარი საბავშვო რედაქციის „პიონერთა დაფინონის“ მთავარი რედაქტორი, **ი. ვ. დუბროვიცკი** — განყოფილების გამგე, **ვ. კ. ბელოვა** — განყოფილების გამგის მოადგილე, **ვ. ლ. გეიდა, ნ. ლ. კოსტროშიჩევა** — უფროსი რედაქტორები — სრულიად საკავშირო ალკა მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის საბჭოთა პიონერებისა და მოსწავლეების მზადების ამსახველი გადაცემებისათვის;

ე. რ. მუშკინა — გაზეთ „ნედელიას“ რედაქტორი — თანამედროვე ოჯახისა და ქორწინების პრობლემებისადმი, ახალი სამოქალაქო წეს-ჩვეულებებისადმი მიძღვნილი მასალებისათვის — „ოჯახური საქმეები“ „მეოჯახის პრესტიჟი“, „დემოგრაფია და ოჯახი“.

ვ. თ. პოხოროვი — გაზეთ „პრავდის“ ფელეტონისტი — მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო და მორალურ-ეთიკური პრობლემებისადმი მიძღვნილი ფელეტონებისათვის — „ბრუდერშაფტი რელსებზე“, „ნერელი მეღვინეები“, „ფაფაზე მიპატიჟება“;

ა. ი. საქსინი — უსტკამენოგორსკის ტიტან-მაგნიუმის კომბინატის რადიოგაზეთ „მეტალურგის ხმის“ რედაქტორი — მუშათა დების სოციალური და საყოფაცხოვრებო პრობლემების შესახებ მასალათა სერიისათვის — „იქნება თუ არა დება სანიმუშო?“, „სანიმუშომდე შორსაა“, „ვინ არის დების პატრონი?“;

გ. ა. ხმირნოვა — სამხარეო გაზეთ „კრასნოიარსკი რაბოჩის“ განყოფილების გამგე — ლენინგრადის საწარმოთა და ორგანიზაციათა და საიან-შუშენსკოეს ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა მეცნიერულ-ტექნიკური თანამეგობრობისადმი მიძღვნილი მასალებისათვის;

ა. ბ. ფიოდოროვი — გაზეთ „სელსკაია ჟიზნის“ საკუთარი კორესპონდენტი — ყამირის ადამიანების, მათი მამაცობისა და მაღალი ზნეობრივი თვისებების შესახებ ნარკვევებისათვის — „რაიკომის მდივანი“, „კატუშა“, „ნდობა“, „მ

პრემიები-ჟურნალისტებს

(დასასრული)

პირველი პრემიები მიენიჭათ ბელოიარსკის რაიონული გაზეთის „ზნამიას“ (სვერდლოვსკის ოლქი), რიბნიცის გაერთიანებული გაზეთის „ლენინსკოე ზნამიას“ (მოლდავეთის სსრ), იამალ-ნენთა საოკრუგო გაზეთის „კრასნი სევერის“ (ტიუმენის ოლქი), კურგანის დ. მ. კარბიშევის სახელობის თვლიანი საწყვრების ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთის „ზავოდსკაია ჟიზნის“ რედაქციების კოლექტივებს.

მეორე პრემიები მიენიჭათ ბელინჩის რაიონული გაზეთის „ზარა კამუნიზმას“ (ბელორუსიის სსრ, მოგილიოვის ოლქი), ზაპოროჟიეს რაიონული გაზეთის „სვეტლი პუტის“ (ალტაის მხარე), სიმფეროპოლის რაიონული გაზეთის „ლენინეცის“ (უკრაინის სსრ, ყირიმის ოლქი), საქალაქო გაზეთის „ბორსკაია პრავდას“ (ბორკის ოლქი), კაშირის საქალაქო გაზეთის „ოგნი კომუნიზმას“ (მოსკოვის ოლქი), ტოლიატის საქალაქო გაზეთის „ზა კომუნიზმას“ (კუიბიშევის ოლქი), ვოლგოგრადის საწარმოო გაერთიანება „ბარიკადის“ მრავალტირაჟიანი გაზეთის „ბარიკადის“, მოსკოვის ს. ორჯონიკიძის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთის „ნოვატორის“ რედაქციების კოლექტივებს.

მესამე პრემიები მიენიჭათ იიგეევის რაიონული გაზეთის „ჰუნალიპის“ (ესტონეთის სსრ), ყირიმის რაიონული გაზეთის „ენბეკ ტუის“ (ყაზახეთის სსრ), ტალდი-კურგანის ოლქი), კონდინსოფს რაიონული გაზეთის „ლენინსკაია ტრიბუნას“ (ტიუმენის ოლქი), მაკაროვის რაიონული გაზეთის „როდნაია ზემლიას“ (სახალინის ოლქი), სნიატინის რაიონული გაზეთის „ლენინსკაია პრავდას“ (უკრაინის სსრ ივანო-ფრანკოვსკის ოლქი), ნოვოტროიცკის საქალაქო გაზეთის „გვარდეეც ტრუდას“ (ორენბურგის ოლქი), ენგელსის საქალაქო გაზეთის „კომუნისტის“ (სარატოვის ოლქი), სამხრეთ აღმოსავლეთ რკინიგზის მრავალტირაჟიანი გაზეთის „პერიოდის“ (ქალაქი ვორონეჟი), ლვოვის საწარმოო გაერთიანება „ელექტრონის“ მრავალტირაჟიანი გაზეთის „რაბოტნიჩა ტრიბუნას“ (უკრაინის სსრ), ლენინაკანის მაისის აჯანყების სახელობის საფეიქრო კომბინატის მრავალტირაჟიანი გაზეთის „ტექსტილშორეცის“ (სომხეთის სსრ), რედაქციების კოლექტივებს.

მთელი რიგი საქალაქო, რაიონული და მრავალტირაჟიანი გაზეთების კოლექტივებს მიენიჭათ სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირისა და ჟურნალ „რაბოჩე-კრესტიანსკი კორესპონდენტის“ დიპლომები.

□

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნომ შეაჯამა 1978 წელს პრესაში, ტელევიზიასა და რადიოში სოციალისტური შეჯიბრების საუკეთესო გამუქმებისათვის სრულიად საკავშირო კონკურსის შედეგები.

ფულადი პრემიებითა და სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საპატიო სიგელებით დაჯილდოებული არიან გაზეთების „სოვეტსკაია როსიისა“ და „ეკონომიჩესკაია გაზეტას“, რესპუბლიკური გაზეთების — „ზარია ვოსტოკას“ (საქართველოს სსრ), „რაბოჩაია გაზეტას“ (უკრაინის სსრ), „ზვიაზდას“ (ბელორუსიის სსრ), ლატვიის სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის პროპაგანდის მთავარი რედაქციის კოლექტივები.

ფულადი პრემიებით და სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საპატიო სიგელებით აღინიშნა გაზეთების — რესპუბლიკური „დაგესტანსკაია პრავდასა“ და „სოვეტ ბაშკორტოსტანის“, საოლქო: ირკუტსკის „ვოსტოჩნო-სიბირსკაია პრავდას“, დნეპროპეტროვსკის „ზორიას“, სარატოვის „კომუნისტის“, „ლენინგრადსკაია პრავდას“, ოშის „ლენინსკი პუტის“ (ყირგიზეთის სსრ), რიაზანის „პროიკსკაია პრავდას“ და კოკჩეტავის „სტეპნოი მაიაკის“ (ყაზახეთის სსრ) კოლექტივები, აგრეთვე ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის სასოფლო რედაქცია.

ფულადი პრემიებითა და ჟურნალ „ჟურნალისტის“ საპატიო დიპლომებით დაჯილდოვდნენ გაზეთების — საოლქო გაზეთის „სოვეტსკი ტამბოვი“ (ქალაქი დუდინკა, კრასნოიარსკის მხარე), საქალაქო გაზეთების „ლენინსკოე ზნამიას“ (ქალაქი ელექტროსტალი, მოსკოვის ოლქი), „მაგნიტოგორსკი რაბოჩის“ (ჩელიაბინსკის ოლქი), „მაკეევსკი რაბოჩის“ (დონეცკის ოლქი), „ნეფტეიუგანსკი რაბოჩის“ (ქალაქი ნეფტეიუგანსკი, ტიუმენის ოლქი), გაერთიანებული გაზეთების „ზარია კომუნიზმას“ (ქალაქი ვიჩუგა; ივანოვოს ოლქი), „სვიატლო კომუნიზმას“ (ქალაქი მოლოდეჩნო, ბელორუსიის სსრ), რაიონული გაზეთების „ზორია კომუნიზმას“ (ქალაქი ოსტროგი, როვნოს ოლქი) და „პრიკუბანსკაია ისკრას“ (ქალაქი გულკევიჩი, კრასნოდარის მხარე) კოლექტივები.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის ფულადი პრემიები და საპატიო სიგელები ასევე ბახალო-სამეურნეო და აღმრთელობითი მნიშვნელობის საგაზეთო კამპანიებისათვის მიენიჭათ შემდეგი გაზეთების რედაქციათა კოლექტივებს: „ვოდნი ტრანსპორტი“ — ჩვენი ქვეყნის საზღვაო და სამდინარო აუზებში ლენინგრადის სატრანსპორტო კვანძის მომიჯნავეთა კოლექტივების შრომითი თანამეგობრობის გამოცდილების პროპაგანდისა და ფართოდ დანერგვისათვის მოწყობილი კამპანიის გამო;

საოლქო გაზეთი „გომელსკაია პრავდა“ — ქარხანა „გომსელმაშის“ რეკონსტრუქციისა და ახალი საკვებასაღები თვითმავალი კომბაინის „სსკ-100“-ს სერიული წარმოების ათვისებისათვის მოწყობილი კამპანიის გამო; ესტონეთის რესპუბლიკური გაზეთი „რაჰვა ხიაელი“ იმისათვის, რომ გაამუქა მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება დევიზით „ვიმუშაოთ უჩამორჩენილებიდან!“ რესპუბლიკური გაზეთი „სოვეტსკაია ესტონია“ — მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და ახალი ტექნოლოგიის პროპაგანდისა და დანერგვის კამპანიის ორგანიზაციისა და მოწყობისათვის; როსტოვის საოლქო გაზეთი „მოლოტი“ — დონისპირეთში შობილი მოძრაობის „ვიმუშაოთ უჩამორჩენილებიდან!“ შემდგომი გაშუქების კამპანიისათვის; საქალაქო გაზეთი „ვეჩერნაია ოდესა“ — კამპანიისათვის „ლამის ცვლა: პრობლემები და რეზერვები“.

20 გაზეთი, რომელთა შორის არის გაზეთი „ბამი“ ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებელთათვის რეკომენდებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე პავილიონ „სოვეტსკაია პეჩატში“ ჩვენებისათვის.

მთელი რიგი შემოქმედებითი კოლექტივები და პრესის მუშაკები დაჯილდოვებული არიან ცენტრალური გაზეთებისა და სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტების სპეციალური პრიზებით, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საპატიო სიგელებითა და ჟურნალ „ჟურნალისტის“ საპატიო სიგელებით.

(საკდესი).

საერთაშორისო
ლიდერების
ზეკრებზე

„კომუნისტის“ კომენტარი

ამჯერად კონსერვატორები

საუოველთაო საპარლამენტო არჩევნები დიდ ბრიტანეთში ჩვეულებრივად საშინაო-პოლიტიკური ცხოვრების ნომერ პირველ მოვლენად ითვლება, თუმცა ბოლო წლებში გახშირებული რიგგარეშე არჩევნები უკვე ყოველგვარ ბრიტანულ ტრადიციას ეწინააღმდეგება.

გასულ პარასკევს, ხმის დათვლა ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, რომ კონსერვატორებს უკვე განადდებული ჰქონდათ გამარჯვება, ხოლო მათი ლიდერი, 53 წლის მარგარეტ ტეტჩერი მთელი დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ ისტორიაში პირველი პრემიერ-მინისტრი ქალი გახდა.

მიმომხილველები უკვე შეუდგნენ ახალი მთავრობის საშინაო და საგარეო-პოლიტიკური კურსის ანალიზს.

მიიჩნიათ, რომ ამ ბოლო დროს შეთანხმებული, ზომიერი პოლიტიკა, რომელიც „ბატჩელიზმის“ სახელწოდებით შევიდა ინგლისის ისტორიაში (კონსერვატორთა ყოფილი ლიდერის რიჩარდ ბატლერისა და ლეიბორისტთა ყოფილი ლიდერის ჰიუ გეიტსკელის პატივსაცემად), სპეციალისტთა მტკიცებით, მძაფრი იდეოლოგიური ბრძოლით შეიცვალა, რის საფუძვლადაც კერძო, მსხვილი კაპიტალისადმი „კონსერვატორთა“ დაუფარავ სიმპათიებს ასახელებენ.

ტეტჩერი და პარტიის სხვა ლიდერები თავიანთ მრავალრიცხოვან წინასაარჩევნო გამოსვლებში სისტემურად ხაზგასმით აღნიშნავდნენ თავიანთ პოზიტიურ დამოკიდებულებას კერძო სექტორისადმი, საშემოსავლო გადასახადების შემცირების აუცილებლობას, სახელმწიფო სექტორის როლის შეზღუდვას და ა. შ.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ არც საგარეო პოლიტიკის სფეროში გამოირჩეოდა კონსერვატორთა პლატფორმა პროგრესულობით.

მაშ, რამ განაპირობა მათი გამარჯვება? ამ რიტორიკულ კითხვას დღეს არაერთი მიმომხილველი აყენებს და ყველას ერთი პასუხი აქვს — იგი განაპირობა არა კონსერვატორთა სიძლიერემ, არამედ ლეიბორისტთა სისუსტემ. უმუშევრობა, გაფიცვები, ეკონომიკური ზრდის ტემპის დაცემა — აი ის ტრიადა, რომელსაც თავი ვერ გაართვა ჯ. კალაჰენის კაბინეტმა.

მაშ ახლ, მთავრობის გადადგომის ცერემონიალი უკვე შესრულებულია, დედოფალი ელისაბედი დათანხმდა კალაჰენის გადადგომას. მომავალი გვიჩვენებს, თუ რა რეცეპტი შეიმუშავეს კონსერვატორებმა მძიმე, თითქმის კრიზისული მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანისათვის.

ს. ცინცაძე,

„კომუნისტის“ პოლიტიკური მიმომხილველი.

არჩევნების შედეგები

ლონდონი, 4 მაისი. (საკდესი). ინგლისის კონსერვატორულმა პარტიამ გმარჯვება მოიპოვა პარლამენტის არჩევნებში. დღეს პრემიერ-მინისტრმა ჯეიმს კალაჰენმა ინგლისის დედოფალს გადასცა თხოვნა ლეიბორისტული მთავრობის გადადგომის შესახებ. ახალ მთავრობას სათავეში ჩაუდგება კონსერვატორთა ლიდერი მარგარეტ ტეტჩერი.

უკანასკნელი მონაცემების თანახმად, კონსერვატორებმა მოიპოვეს 330 მანდატი 635-დან, რითაც გაინაღდეს აბსოლუტური უმრავლესობა თემთა პალატაში, ლეიბორისტებს აქვთ 267 მანდატი, ლიბერალებს — 10. დანარჩენ პარტიებს 13 ადგილი აქვთ. ჯერ არ დაუანგარიშებიათ კიდევ 15 საარჩევნო ოლქში მიცემული ხმების რიცხვი.

გამოჭდილების გაზიარება

ნიუ-იორკი, 4 მაისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგაზეთოს კორესპონდენტი იუწყება, პეკინში ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა პენტაგონთან არსებული ეროვნული თავდაცვის უნივერსიტეტის სამხედრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს გენერალ-ლეიტენანტი რ. გარდი. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დელეგაცია პირველად ჩადის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩინეთის მთავრობის მიწვევით. როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, ამერიკის შეერთებული შტატების არმიის, ფლოტისა და ავიაციის დელეგაციის შემადგენლობაში შემავალი მაღალი თანამდებობის წარმომადგენლები ეწევიან სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის, ჯარის ნაწილებს, დაათვალიერებენ სამხედრო ობიექტებს ქვეყნის სხვადასხვა რაიონში.

19 მაისს. თბილისში

გუშინ მოსკოვში, „ტოტალიზატორის“ სტადიონზე გაიმართა საკავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა.

სტუმართა კარში პირველი ბურთი მრავალსლვიანი კობინაციის უნაკლოდ შესრულების შემდეგ გავიდა: ეს იყო მე-17 წუთზე, როცა მეტოქეთა საჯარიმოზე **დარასელიამ, ბლოხინმა, ჩესნოკოვმა და შენგელიამ** ბურთი ოსტატურად გაითამაშეს, ხოლო **ქორიძემ** პარტნიორთა კარგად წამოწყებული საქმე დიდებულად დააგვირგვინა — 1:0. სამი წუთის შემდეგ თავი ისახელა **შენგელიამ**, რომელმაც ორ მცველთან ბრძოლაში იმარჯვა და ანგარიში 2:0-მდე გაზარდა. მატჩის დამთავრებას 1 წუთი აკლდა, როცა **ხიდიატულინის** მიერ დარტყმული ბურთი შეეხო ჩეხოსლოვაკიელთა ერთ-ერთ მოთამაშეს და ანგარიში გახდა 3:0 სსრ კავშირის ნაკრების სასარგებლოდ.

საბჭოთა ნაკრების შემადგენლობა ასეთი იყო: გონტარი, ბერეანო, აჯემი, მახოიკოვი, ბუბნოვი, დარასელია (პრიგოდა), ხიდიატულინი, ქორიძე, ჩესნოკოვი, შენგელია (გაზაევი), ბლოხინი.

მასპინძლებისათვის ეს შეხვედრა უკანასკნელი რეპეტიცია გახლდათ ევროპის ჩემპიონატის პროგრამით გათვალისწინებული უნგრეთის ნაკრებთან შესარჩევი მატჩის წინ, რომელიც თბილისში 19 მაისს გაიმართება.

ორი ლიდერი

მონრეალის დიდოსტატთა ტურნირის ბოლო ტურის წინ მოიწყო გადადებული პარტიების დამთავრება. კარპოვმა ლუბოევიჩთან შეხვედრა მოგებით დასრულა. ახლა კარპოვი და ტალი 11,5-11,5 ქულით ლიდერობენ ასპარეზობას. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: სპასკიმ მოიგო ჰიუბნერის და ლუბოევიჩს, ლუბოევიჩმა — ჰორტს. დაზვდნენ პორტიში-ალავლეკი, ტიმანი-ჰიუბნერი და ლარსენი-ტიმანი. მომდევნო ადგილებზე არიან პორტიში — 10 ქულა, ლუბოევიჩი — 8,5, სპასკი და ტიმანი — 8,8, ჰიუბნერი და ალავლეკი — 7,5-7,5, ჰორტი — 7, ლარსენი — 5,5 ქულა.

მეზადეგის პროგრამით

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაიწყო მოჭადრაკეთა ტურნირი, რომელიც ემღვნება გამარჯვების დღეს — 9 მაისს. მისი მიზანია რაც შეიძლება კარგად მოემზადონ საქართველოს მოჭადრაკენი საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის.

წრილისყრის შედეგები ასეთია: 1. დიდოსტატი ტურგენიევი, 2. საერთაშორისო ოსტატი ზაიჩიკი, 3. ოსტატი აზმაიფარაშვილი, 4. საერთაშორისო ოსტატი პოდგაეცი (ოდესა), 5. საერთაშორისო ოსტატი უბილავა, 6. დიდოსტატი ლუტიკოვი (ტერასპოლი), 7. დიდოსტატი რომანიშინი (ლვოვი), 8. ოსტატი იზეოზჩიკოვი, 9. დიდოსტატი გუფელდი, 10. ოსტატი სტურუა, 11. საერთაშორისო ოსტატი ლერნერი (ოდესა), 12. დიდოსტატი მიხალჩიშინი (ლვოვი), 13. ოსტატი ჩიკოვანი, 14. ოსტატი ჩეჩელიანი.

პირველ ტურში გაიმართა მხოლოდ 5 პარტია: აზმაიფარაშვილი-მიხალჩიშინი და ლუტიკოვ-გუფელდი სწრაფად შეთანხმდნენ ყაიმზე. ცხარე ბრძოლის შემდეგ ასეთივე შედეგით დასრულდა უბილავა-სტურუას პარტია. გურგენიძეს ჩეჩელიანთან შეეცდომა მოუვიდა და გადადებულ პარტიაში ახალგაზრდა ოსტატს დიდი მატერიალური უპირატესობა აქვს. ზაიჩიკს ეტლების ენდშპილში ზედმეტი პაიკი აქვს ჩიქოვანთან.

გ. გამრეკელი.

სატურნირო ორბიტაზე

კალათბურთი. ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსკოვის იუნაიორთა ნაკრებმა თავისი ტურნეს პირველი შეხვედრა გამართა ნიუ-იორკის გარეუბან ლონგაილენდის გუნდთან და დამარცხდა ანგარიშით 67:74 (32:35).

ხელბურთი. დამთავრდა უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. „სპარტაკი“ (კიევი) — 43 ქულა, 2. „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) — 37, 3. „ალანია“ (ყაზანი) — 30 ქულა.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

თქვენი გაზეთის საშუალებით გვინდა მადლობა გადავუხადოთ საზოგადოებრიობას, ორგანიზაციებს, საწარმოო-დაწესებულებებსა და ერძო პირებს, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი მწუხარება შოთა ეფრემის ძე **ბუხრაშვილის** გარდაცვალების გამო.

შ. ბუხრაშვილის ოჯახი.

რედაქტორი

გ. ბედინეიშვილი.

7 მაისი რადიოს დღეა

სურათზე: საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის მუშაკთა ჯგუფი: პირველ რიგში (მარცხნიდან) თ. ხვადაგიანი — რადიოს ხმის ოპერატორი, გ. ვაშაკიძე — ტელეოპერატორი, ი. ბომბართელი — ტელევიზიის რეჟისორი, რადიოს რედაქტორები მ. ზერეთელი და ნ. ტალახაძე, ნ. თუთბერიძე — ტელევიზიის რედაქტორი, ნ. ლომბიძე — რადიოს რედაქტორი, ნ. ერისთავი — ტელევიზიის გაცვლითი რედაქციის რედაქტორი, ჯ. ჯაველიძე — რადიოს დაქტორი. მეორე რიგში — გ. ლეკვა — რადიოს უფროსი რედაქტორი, ი. მაჭიავშვილი — ტელევიზიის დიქტორი, თ. მგალობლიშვილი — რადიოს დიქტორი, ა. კასპარიშვილი — სატელევიზიო დადგმების მთავარი რეჟისორი, ჯ. ქორიძე — ტელევიზიის რედაქტორი.

ს. კილაძის ფოტო.



სპერეოფონური... რადიოქსელი

რადიოს დღის წინ თბილისში ჩვეულებრივ სამპროგრამიან რადიოტრანსლაციის ქსელში გაისმა პირველი ... სტერეოფონული მუსიკალური გადაცემები. ისინი იქსპერიმენტულად განხორციელდა რესპუბლიკური რადიოტელეცენტრიდან სტანდარტული მონოგადამცემი აპარატურის მეშვეობით, ხოლო მათი მიღება შეიძლებოდა „მაიაკ-202“ რეპროდუქტორებით. მუსიკის ჟღერადობა, სპეციალისტთა ერთსულოვანი აზრით, საუკეთესო გადაცემათა დონეს შეესაბამებოდა. საგულისხმოა, რომ ამ გადაცემების მოსმენა შეიძლება ჩვეულებრივადაც, ერთი დინამიკის მეშვეობით, თან ჟღერადობის დონე ასევე მაღალი იქნება. ასეთ ეფექტს მიაღწიეს იმ ტექნიკურ საშუალებათა მეოხებით, რომლებიც ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატებმა ი. ბაგლაროვმა, ა. ეფიმოვმა და ინჟინერმა ა. გოროდნიკოვმა შეიმუშავეს.

ჩვენს ქვეყანაში რადიოტელანსლაციის ქსელით სტერეოფონური გადაცემები რეგულარულად ჯერჯერობით მხოლოდ ორ ქალაქში რიგასა და გორკში ეწყობა. თბილისი მესამე გახდება.

პრაქტიკულად ქვეყნის ყველა დიდ ქალაქში წარმოება მაუწყებლობა სამპროგრამიანი რადიოქსელით. ეს ნიშნავს, რომ მალე მილიონობით ბინაში სტერეოფონურ გადაცემებს მოისმენენ.

როცა ზღვარი იშლება

...ქვემოდან — თოვლივით თეთრი ასიმეტრიული ბურჯების ძირიდან რომ აპბედო, ეიგორნება ტელანძის ანტენებით დაფარული ენინწერო მდოვრედ მიცურავსო გაზაფხულის ცაში. სამაღლეთვალ გჩრის და ერთბაშად ვიტაცი ამჩნევ მასიურ „ძირითად“ ჭაურში დატანებულ კარს. შიგნით არის ჩჩარსნსული ლიფტი, რომელიც 70 მეტრ სიმაღლეზე ადის.

კოშკის ძირას აღმართულია ორსართულიანი შენობა — რესპუბლიკური რადიოსატელევიზიო სარეტრანსლაციო ცენტრი.

ეგესაბრები ცენტრის დირექტორს ე. ტარბეევს.

— დღეს საქართველოს ტელევიზიის პირველ პროგრამას რესპუბლიკის მცხოვრებთა 85 პროცენტი უყურებს, მოსკოვისას — დაახლოებით 70 პროცენტი, — ამბობს იგი — ზოგიერთი რეტრანსლატორის სიმძლავრე ჯერჯერობით არ გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ერთ-ორ პროგრამაზე მეტი გადავცეთ, თანაც მიღებას ართულებს მთაგორიანი ლანდშაფტი. მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა, ჩვენ უკვე მივიღეთ აპარატურა, რომელიც ახლო მომავალში დაგვეხმარება სტაბილური გამოსახულება გადავცეთ რესპუბლიკის ყველა კუთხეში.

სულ უფრო ძნელდება საზღვრის გავლება ტელევიზიის განვითარების დღეანდელ და ხვალინდელ დროს შორის. საქართველოს ტერიტორიაზე რეკონსტრუირებულია მაგისტრალური რადიოსარელეო ხაზი, რომელიც მოსკოვს ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან აკავშირებს. მისი გამტარუნარიანობა გაიზარდა. ბაქოსა და ერევნის სამოსკოვო გადაცემები ამიერიდან აღარ შეუშლის ხელს რესპუბლიკის დასავლეთი რაიონების მცხოვრებთ საქართველოს ტელევიზიის პროგრამის ყურებაში.

ვ. გოლოვინი,

საქინფორმის კორ.

„საბჭოთა ხელოვნება“ № 4

გამოვიდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ყოველთვიური ჟურნალის „საბჭოთა ხელოვნების“ მე-4 ნომერი.

ჟურნალის ფურცლებზე მკითხველი გაეცნობა საყურადღებო წერილებსა და სტატიებს, აგრეთვე სხვა მასალებს, რომლებიც ეძღვნება თეატრის, კინოს, მუსიკის, ფხატვრობის და ხელოვნების სხვა დარგების საკითხებს, ქართული საბჭოთა ხელოვნების დღეანდელობას და ისტორიას.

აქვე დაბეჭდილია ლევან გოთუას პიესა „შოთა რუსთაველი“.

სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიის ნახევარი საუკუნე

სრულიად საკავშირო საავტო საზოგადოება „ინტურისტს“ 50 წელი შეუსრულდა. უცხოეთის ტურიზმი ემსახურება მშვიდობისა და ხალხთა ურთიერთგაგების საქმეს, ახალ შესაძლებლობებს ქმნის მათი დაახლოებისათვის.

ჩვენს რესპუბლიკაში სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიის განვითარების თავისებურებებისა და პერსპექტივების შესახებ მკითხველი შეიტყობს ინტერვიუდან, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს უფროსმა ლ. მატარაძემ მისცა საქინფორმის კორესპონდენტს.

ემსახურება მშვიდობას, ხალხთა ურთიერთგაგებას

— როგორია საბჭოთა კავშირში უცხოეთის ტურიზმის ნახევარსაუკუნოვანი განვითარების ძირითადი შედეგები?

— უცხოეთის ტურიზმმა ღირსეული ადგილი დაიკავა სსრ კავშირის საგარეო-პოლიტიკურ და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობაში, იგი სახალხო მეურნეობის დამოუკიდებელი დარგი გახდა. მარტო შარშან საბჭოთა კავშირს ეწვია 4,5 მილიონი უცხოელი მოქალაქე 160 სახელმწიფოდან ხოლო 3,7 მილიონი საბჭოთა ადამიანი იყო მსოფლიოს 142 ქვეყანაში.

„ინტურისტს“ საკმაოდ მძლავრი ბაზა აქვს, რომელიც, კერძოდ, შეიცავს 41,2 ათასი კაცისათვის განკუთვნილ 89 სასტუმროს, მოტოოტელსა და კემპინგს, 88 რესტორანსა და კაფეს, ვრცელ ავტოპარკს. მის 8 გაერთიანებაში, 50 განყოფილებასა და 48 საგენტოში 47 ათასზე მეტი კაცი მუშაობს.

პარტია და მთავრობა შეუნელებელ ყურადღებას უთმობენ ჩვენს ქვეყანაში უცხოეთის ტურიზმის განვითარებას. 1981-85 წლებისათვის დასახული მშენებლობის პროგრამა ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის 21 ქალაქში ახალი სასტუმრო კომპლექსების ამოქმედებას, რითაც თითქმის ერთიორად გადადდება უცხოელი ტურისტების ერთდროული მიღების შესაძლებლობა.

50 წლის განმავლობაში სრულიად საკავშირო საავტო საზოგადოება „ინტურისტი“ 44 მილიონ უცხოელ მოქალაქეს მოემსახურა. ამასთან საზოგადოების საქმიანობის პირველ ათწლეულში მისი მეშვეობით სსრ კავშირს 100 ათასი, ხოლო უკანასკნელ ათწლეულში — 31 მილიონზე მეტი უცხოელი ტურისტი ეწვია.

საერთაშორისო კლიმატის საერთო გაჯანსაღებამ, რაც მიღწეულია, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა სახელმწიფოს მიერ მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის განხორციელების შედეგად, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებამ ხელი შეუწყო ომისშემდგომ წლებში საზღვარგარეთ საბჭოთა ტურიზმის სწრაფ განვითარებას. მარტო 1956-1978 წლებში საზღვარგარეთ იმოგზაურა დაახლოებით 35 მილიონმა კაცმა.

განსაკუთრებით ნაყოფიერია საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ტურისტული ურთიერთობა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან. მათ წილად მოდის ჩვენს ქვეყანაში უცხოეთის ტურიზმის მოცულობის თითქმის 75 პროცენტი.

— თუ შეიძლება, მოკლედ გაგვაცანით ჩვენს რესპუბლიკაში უცხოეთის ტურიზმის ისტორია.

— 1929 წელს საქართველოში შეიქმნა „ინტურისტის“ თბილისის განყოფილება და ბათუმის საგენტო. ძალზე მცირე იყო ბაზა, რომელიც მას სტუმრების მისაღებად ჰქონდა. მაგალითად, თბილისში „ინტურისტს“ 50-იანი წლების მეორე ნახევრამდე ერთადერთი სასტუმრო ჰქონდა, ხოლო ბათუმში — მომცრო ოტელი.

მაგრამ უკვე იმ წლებში დაიწყო თბილისის განყოფილების სასტუმრო ბაზის განვითარება. შემდეგ თბილისში, გორში, ფასანაურში, სხვა ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში ამოქმედდა სასტუმროები „თბილისი“, „ინტურისტი“, „ივერია“, „აჭარა“, „ყაზბეგი“, „კახეთი“, მოტოოტელი „უშბა“.

1939 წელს ბათუმში საექსპლოატაციოდ გადაეცა სასტუმრო „ინტურისტი“, რომელიც გამოჩენილი საბჭოთა არქიტექტორის ა. შჩუსევის პროექტით აშენდა. მატერიალური ბაზის გაძლიერებამ, განსაკუთრებით 60-იან წლებში, ხელი შეუწყო აჭარაში უცხოელი ტურისტების მომსახურების მოცულობის თანდათანობით გადიდებას. უკანასკნელ წლებში „ინტურისტის“ ადგილობრივი განყოფილება სეზონში დაახლოებით 9 ათას უცხოელ სტუმარს იღებს და 30 საკონფიზო გემის მგზავრებს ემსახურება.

სოხუმში „ინტურისტის“ საგენტო 1955 წელს შეიქმნა. მომდევნო წლებში უცხოეთის ტურიზმის მასშტაბის ზრდა დაკავშირებული იყო თბომავლების („აფხაზეთი“, „პეტრე დიდი“, „რუსეთი“, „უკრაინა“) საკრუიზო ტურიზმის განვითარებასთან. აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში უცხოეთის ტურიზმის განვითარებისათვის საეტაპო გახდა 1960 წელი, როცა ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩამოსული უცხოელი სტუმრების საერთო რიცხვმა 10 ათასს გადაჭარბა, და სოხუმის საგენტო „ინტურისტის“ განყოფილებად გარდაიქმნა.

რესპუბლიკაში „ინტურისტის“ ყველაზე ახალგაზრდა განყოფილება — წყალტუბოს განყოფილება 1976 წელს მოტოოტელის ბაზაზე შეიქმნა. 1978 წელს განყოფილება 5,6 ათას უცხოელს მოემსახურა.

— როგორია ზოგადად სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიის მიღწევები რესპუბლიკაში?

— უცხოეთის ტურიზმის მოცულობით საქართველოს ამჟამად მესამე ადგილი უჭირავს მოკავშირე რესპუბლიკებს შორის. „ინტურისტს“ რესპუბლიკაში 5 განყოფილება — თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, ბიჭვინთის, წყალტუბოს განყოფილებები და ერთი საგენტო აქვს. ჩვენს ოც საწარმოსა და დაწესებულებაში 5 ათასზე მეტი მუშა და მოსამსახურეა დასაქმებული.

უცხოეთის ტურიზმის რესპუბლიკური განყოფილება, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 15 იანვრის დადგენილებით, უცხოეთის ტურიზმის მთავარი სამმართველოს გადაწყვეტილებებითა და მითითებებით, დღენიადაგ ხელს დარგის ხელმძღვანელობის სტილსა და მეთოდებს. აბორიგენებს ღონისძიებებს მისი მატერიალური ბაზის განვითარება-მოდერნიზაციისათვის, აფართოებს საინფორმაციო-პროპაგანდისტული მუშაობის მასშტაბს, რაზმავს საწარმოთა კოლექტივებს საგგმო დავალებებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის. ყოველივე ამან ხელი შეუწყო იმას, რომ სამმართველოს სისტემის შრომითმა კოლექტივებმა წარმატებით შეასრულეს მეათე ხუთწლედის სამი წლის დავალებები, მათ შორის შემოსავლის მიხედვით 103,4, საქონელბრუნვისა — 102,9 მოგებისა — 102,8 პროცენტით. გეგმები შესრულდა სხვა მაჩვენებლების მიხედვითაც. ჩვენმა მოწინავე საწარმოებმა ამ პერიოდში ცხოვრერ გაიმარჯვეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ამ წარმატებებში დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს პროფსაბჭომ, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნამ“, აიროფლოტის საქართველოს განყოფილებამ, სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის სამინისტროებმა, რესპუბლიკის მთელმა რიგმა სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ უცხოეთის ტურიზმის ამოცანების გადაწყვეტაში.

მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ დარგის მუშაობაში ჯერაც არის არსებითი ნაკლოვანებები, საჭიროა ეფექტიანი ღონისძიებანი განვახორციელოთ, რათა სისტემის საწარმოებში აკადემიურ მომსახურების დონე.

— რას ვთავაზობთ საზღვარგარეთიდან ჩამოსულ მოგზაურებს?

ჩვენს რესპუბლიკაში უცხოელ ტურისტებს ყოფნის პროგრამა ერთ მიზანს ემსახურება, სახელდობრ: მივცეთ მათ შესაძლებლობა წარმოდგენა იქონინონ საქართველოს წარსულსა და აწმყოზე, იმ დიდ ცვლილებებზე, რომლებიც ქართველი ხალხის ცხოვრებაში საბჭოთა ხელისუფლების წლებში მოხ